საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარ ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ო. ლ.

წარმომადგენელი - გ. გ. /სიითი №5337/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.08.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №111/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. ა.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. ა.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 21 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ო. ლ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. ა.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და მისთვის გადაცემული დოკუმენტების დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ რ. ა.-სთან გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და 2018 წლის 18 ივნისს ადვოკატზე გასცა რწმუნებულება. მხარეებს შორის არსებული შეთანხმებით, ადვოკატს უნდა შეედგინა სარჩელი და წარმომადგენლობა განეხორციელებინა თბილისის საქალაქო სასამართლოში ო. ლ.-ს ყოფილი მეუღლის მიმართ ქონებრივი დავის დაწყების მიზნით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 28 თებერვალს ადვოკატმა მასთან შეუთანხმებლად განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის განუხილველად დატოვება, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ. ასევე, ადვოკატმა რ. ა.-მა სარჩელთან ერთად გამოითხოვა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რაც საჩივრის ავტორის აზრით მიუთითებს იმაზე, რომ ადვოკატი არ აპირებდა დაზუსტებული სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვას. ადვოკატმა აღნიშნულის შესახებ არაფერი აცნობა საჩივრის ავტორს და მიაწოდა ინფორმაცია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი, რასაც გაასაჩივრებდა სააპელაციო წესით. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ რ. ა.-ზე 2013 წლის 30 აპრილს გაცემული რწმუნებულების მიხედვით, ამ უკანასკნელს ჰქონდა მხოლოდ სარჩელზე უარის თქმის უფლება და არა სარჩელის გამოხმობის უფლება.

1.4 ო. ლ.-ს განცხადებით, 2019 წლის 12 აგვისტოს შემდეგ ადვოკატს ვერ უკავშირდებოდა. ადვოკატმა მას არ აცნობა, რომ აგვისტოს თვეში არ იქნებოდა თბილისში და მასთან გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეზღუდული იქნებოდა კომუნიკაცია.

1.5 2019 წლის 28 ნოემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა ო. ლ.-ს წარმომადგენელი, გ. გ.. ამ უკანასკნელის განმარტებით, საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა 2013 წლიდან, თუმცა ეთიკის კომისიისადმი მომართვის საფუძველი გახდა სრულიად სხვა დავა, რომელიც წარმოიშვა 2018 წლიდან. წარმომადგენლის განმარტებით, საჩივრის ავტორს სარჩელის გამოხმობით მიადგა პირდაპირი ზიანი, ვინაიდან გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სადავო ქონებაზე დადებული ყადაღა, ხოლო სასამართლო წარმოებაში აღარ იღებს ახალ განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 02 სექტემბერს რ. ა.-მა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განმარტება და აღნიშნა, რომ ო. ლ-ს იურიდიულ მომსახურეობას უწევდა 2013 წლიდან.

2.2 2013 წელს ო. ლ-ს სარჩელი ჰქონდა შეტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოფილი მეუღლის მიმართ. სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, ო. ლ. ითხოვდა უძრავი ქონების თანამესაკუთრედ ცნობას და ქონებიდან წილის მიღებას. აღნიშნულ დავაში ადვოკატი რ. ა. ჩაერთო პაექრობის ეტაპზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ო. ლ.-ს სარჩელი და სააპელაციო წესით გასაჩივრების მიზნით ო. ლ.-მ დახმარება სთხოვა ადვოკატ რ. ა.-ს. 2014 წლის 09 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, მხარეებს შორის შედგა მორიგება, რომლის მიხედვით სადავო უძრავი ქონების ½ ნაწილი დარეგისტრირდა ო. ლ.-სა და მისი ყოფილი ქმრის საერთო შვილის, ს. ლ.-ს სახელზე. ადვოკატმა ო. ლ-ს სამართლებრივი დახმარება გაუწია გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზეც, რა დროსაც საჭირო გახდა სასამართლოსთვის მიმართვა. მოგვიანებით,

ადვოკატმა რ. ა.-მა შესთავაზა ო. ლ-ს მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის და მოეთხოვა მისი ყოფილი ქმრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან ½ ნაწილი, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ იყო დადგენილი ქონების რომელი ნაწილიდან გადაეწა ½ წილი ს. ლ.-ს. ამ მოთხოვნით, 2018 წლის 05 მარტს ადვოკატმა რ. ა.-მა სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში. მას შემდეგ რაც ო. ლ.-ს ყოფილი მეუღლისთვის ცნობილი გახდა სარჩელის თაობაზე, მან სადავო ქონება გაასხვისა. 2018 წლის 18 ივნისს ადვოკატმა დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ო. ლ.-ს სახელზე სადავო ქონების ½ ნაწილის აღრიცხვა, ამასთანავე ადვოკატმა მოითხოვა უძრავ ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის გამოყენება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

2.3 2018 წელს მიმდინარე დავაში, მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით გამოითხოვა 2013 წელს დაწყებული სამოქალაქო საქმის მასალები. სასამართლოსთან კომუნიკაციის გზით, ადვოკატმა რ. ა.-მა მიიღო ინფორმაცია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 09 ოქტომბრის განჩინებით სასამართლომ ს. ლ.-ს მიაკუთვნა ო. ლ.-ს კუთვნილი ქონება, კერძოდ მთლიანი უძრავი ქონების ½ წილი. შესაბამისად არსებობდა საფუძველი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა, ო. ლ-ს კი აღარ ექნებოდა შესაძლებლობა კვლავ მიემართა სასამართლოსთვის განსხვავებული სტრატეგიით.

2.4 ადვოკატმა რ. ა.-მა, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით და მასთან სატელეფონო კომუნიკაციით მიღებული თანხმობის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის გამოხმობის შესახებ. აღნიშნული უფლებამოსილება ადვოკატს მინიჭებული ჰქონდა რწმუნებულებითაც. ადვოკატის განმარტავს, რომ მათი სტრატეგია იყო, რომ სხვა გზით გაეგრძელებინათ სამართლებრივი დავა, რის თაობაზეც ინფორმირებული იყო ო. ლ..

2.5 ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მან არასწორი ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისა და აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, ამ ინფორმაციის მცდარობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მას საჩივრის ავტორისთვის არ მოუთხოვია სააპელაციო საჩივრისთვის განკუთვნილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ის საჩივრის ავტორს ბოლოს დაუკავშირდა 2019 წლის აგვისტოს თვეში და აცნობა, რომ გარკვეული პერიოდით არ იქნებოდა თბილისში და მასთან დაკავშირებას ვერ შეძლებდა.

2.7 2019 წლის 23 აგვისტოს ადვოკატმა რ. ა.-მა ო. ლ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით ხელახლა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით. სარჩელის შეტანამდე, ადვოკატისთვის არ იყო ცნობილი ო. ლ.-ს მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივრის თაობაზე. ადვოკატისთვის აღნიშნული ინფორმაცია ცნობილი გახდა სარჩელის შეტანის შემდეგ, როდესაც ეთიკის კომისიის აპარატიდან აცნობეს საჩივრის წარმოდგენის თაობაზე, რაც იმავე დღეს ჩაიბარა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ო. ლ-ს არასოდეს მიუმართავს დოკუმენტაციის დაბრუნების მოთხოვნით და ადვოკატი მზად არის დაუბრუნოს მას დოკუმენტაცია.

3. მოწმის პოზიცია:

3.1 2019 წლის 03 დეკემბერს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა მოწმე გიორგი როსტომაშვილი, რომლის განცხადებითაც, ის რამდენჯერმე შეესწრო რ. ა.-ს და ო. ლ.-ს შეხვედრას. მისი განმარტებით, ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის არსებობდა ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა. მოწმემ ასევე განაცხადა, რომ ის იმყოფებოდა რ. ა.-ს ოფისში, როდესაც ეს უკანასკნელი ტელეფონით ესაუბრა ო. ლ-ს და შესთავაზა სარჩელის გახმობა, ვინაიდან დიდი ალბათობით სარჩელი არ დაკმაყოფილდებოდა, რაზედაც თანხმობა განაცხადა საჩივრის ავტორმა.

3.2 მოწმის განმარტებით ის შეესწრო ო. ლ-სა და რ. ა.-ს საუბარს ადვოკატის ოფისში, რა დროსაც ო. ლ.-მ თანხმობა განაცხადა გიორგი როსტომაშვილი დასწრებოდა მათ საუბარს.

II სამოტივაციონაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი რ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო.

4.2 ო. ლ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 21 აგვისტოს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. შესაბამისად, დაცულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. ა.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა რ. ა.-მა მისი თანხმობის გარეშე გამოიხმო თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი საჩივარი, რის გამოც სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა.

6.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ რ. ა.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.“

6.3 ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება მათ შორის შეთანხმების საფუძველზე და ურთიერთობის გაგრძელებასაც მუდამ თან უნდა სდევდეს ურთიერთშეთანხმება, რაც გულისხმობს საადვოკატო მომსახურების გაწევას კლიენტთან შეთანხმებული ფორმით. ადვოკატმა კლიენტის დაცვის სტრატეგია მასთან უნდა შეათანხმოს და მომსახურების პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება კლიენტის თანხმობით უნდა განახორციელოს.

6.4 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე N062/15 განმარტა, რომ “ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

6.5 მოცემულ შემთხვევაში, სადავო საკითხს წარმოადგენს ადვოკატის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოდან სარჩელის გამოხმობა. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა მასთან შეუთანხმებლად განახორციელა ეს მოქმედება, რის გამოც მიადგა ზიანი. თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელის განხილვაზე უარის თქმასთან ერთად გააუქმა მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

6.6 საქმეში წარმოდგენილია, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის განჩინება, რომლის მიხედვით დაკმაყოფილდა ო. ლ.-ს წარმომადგენლის რ. ა.-ს შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე და ო. ლ.-ს სარჩელი მოპასუხეების გ. ლ.-ს და გ. ვ.-ს მიმართ ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის და მესაკუთრედ ცნობის თაობაზე დარჩა განუხილველი. ასევე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 ივნისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც გ. ვ.-ს აეკრძალა საჯარო რეესტრში მის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ქონების ½ ნაწილის გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა.

6.7 საქმეში ასევე წარმოდგენილია 2013 წლის 30 აპრილს ო. ლ.-ს მიერ ადვოკატ რ. ა.-ს სახელზე გაცემული რწმუნებულება, რომლის მიხედვით ადვოკატს მიენიჭა სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თმის უფლება. რწმუნებულება გაცემული იქნა განუსაზღვრელი ვადით.

6.8 საჩივრის ავტორის პრეტენზიას არ ეთანხმება ადვოკატი რ. ა. და აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოდან სარჩელის გამოხმობის თაობაზე სრულად იყო ინფორმირებული ო.

ლ. და სარჩელის გახმობის შესაძლებლობა მას რწმუნებულებით ჰქონდა მინიჭებული. ამასთანავე, ადვოკატი აღნიშნავს, რომ სარჩელის გამოხმობა იყო მისი არჩეული სტრატეგია, რადგან არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ სასამართლო არ დააკმაყოფილებდა სარჩელს და ადვოკატმა გადაწყვიტა, რომ განსხვავებული სტრატეგიით ხელახლა მიემართა სასამართლოსთვის. ადვოკატის განმარტებით აღნიშნული სტრატეგია სრულად იყო შეთანხმებული კლიენტთან და მისგან მიღებული ჰქონდა თანხმობა. ადვოკატის ამ პოზიციას ადასტურებს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოკითხული გიორგი როსტომაშვილი, რომლის განმარტებით ადვოკატმა რ. ა.-მა ტელეფონის საშუალებით აცნობა ო. ლ-ს სარჩელის გახმობის თაობაზე, რასაც ო. ლ. დაეთანხმა. მოწმე უშუალოდ შეესწრო აღნიშნულ ფაქტს.

6.9 საჩივრის ავტორის წარმომადგენელი გ. გ. მიუთითებს, რომ ადვოკატ რ. ა.-ს არ ჰქონდა მინდობილობით მინიჭებული სარჩელის გამოხმობის უფლება, მინდობილობაში აღნიშნული იყო მხოლოდ სარჩელზე უარის თქმის უფლება. თუმცა, „სარჩელის გამოხმობაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის შესაძლებლობა, გამოიხმოს სარჩელი, შემდეგი წესით მოწმდება, კერძოდ, თუ მინდობილობაში წარმომადგენელს სარჩელზე უარის თქმის უფლება მინიჭებული აქვს, სასამართლო იმპლიციტურად თვლის ასევე, რომ აღნიშნულ წარმომადგენელს სარჩელის გამოხმობის უფლებაც აქვს[1] .

6.10 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიების საფუძვლიანობას განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილია მხარეთა საპირისპირო განმარტებები და მტკიცებულებები, რომლებიც საჩივრის ავტორის პრეტენზიებს ვერ ადასტურებს. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მინდობილობით ადვოკატს ჰქონდა სარჩელის გახმობის უფლებამოსილება, ხოლო მოწმის განმარტება ადასტურებს ადვოკატის პოზიციას, რომ მან კლიენტთან შეთანხმებით, არჩეული სტრატეგიიდან გამომდინარე გამოიხმო სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოდან. საპროცესო კოლეგია ასევე აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისია არ აფასებს ადვოკატის მიერ საპროცესო მოქმედებების ხარისხს და შერჩეული სტრატეგიის ეფექტიანობას.

6.11 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ რ. ა.-ს მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 მუხლის დარღვევას, შესაბამისად არ არსებობს ადვოკატ რ. ა.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30.1 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

---

[1] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის კომენტარი, ავტორი ქეთევან მესხიშვილი. 01.12.2019 წელი

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №111/19 ადვოკატ რ. ა.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიისწევრი: /ცისმარ ონიანი/